# გორის მუნიციპალიტეტის
# საკრებულოს

## განკარგულება N31

2020 წლის 13 მარტი

ქ. გორი

### გორის მუნიციპალიტეტის პროფესიული საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2020 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლა-გადამზადებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება, საჯარო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებას ყოველი წლის დასაწყისში და უზრუნველყოფს მოხელის პროფესიული განვითარების სავალდებულო პროგრამებში მონაწილეობას, რომლის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლება, მათი საქმიანობისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავება, რაც ჯამში ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი საჯარო მოსამსახურეთა ჩამოყალიბებას, მუნიციპალიტეტის ორგანოთა უფრო მეტად ეფექტური მუშაობისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის პროფესიული საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2020 წლის გეგმა.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის
54-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის პროფესიული საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების 2020 წლის გეგმა დანართი №1 შესაბამისად (დანართი თან ერთვის ოთხ ფურცლად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დანართი N 1

| | სასწავლო პროგრამის დასახელება | საბაზისო/დამატებითი პროგრამა | დეტალური აღწერა/სასურველი თემები | პროფსიული სასწავლებლების მეთოდი/ფორმა (შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის მონიშვნა | მონაწილე თანამშრომლების რაოდენობა | მონაწილე თანამშრომლების თანამდებობა | პერიოდი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადამიანური რესურსების მართვა, საქმისწარმოება და ელექტრონული მმართველობა საჯარო სექტორში კომუნიკაციის ფსიქოლოგია | დამატებითი | | ტრენინგი | 15 | II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | II –IV |
| 2 | საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია საჯარო | დამატებითი | | ტრენინგი | 10 | II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი | II-IV |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სამსახურის პირი. | | | | | III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | |
| 3 | სამოქალაქო მშენებლობა გზების მშენებლობა და კეთილმოწყობა, სასმელი წყლის მაგისტრალების მშენებლობა ნორმები და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება | დამატებითი | | ტრენინგი | 15 | I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | II-IV |
| 4 | მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში და მუნიციპალიტე | დამატებითი | | ტრენინგი | 10 | II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი<br>III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | II-IV |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტის წარმომადგენლობასასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე | | | | | III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | |
| 5 | პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი | საგაზისო | | ტრენინგი | 40 | III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>III რანგის III კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი<br>IV რანგის I კატეგოტიის კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი<br>IV რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი IV რანგის III კატეგოტიის კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | II-IV |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | საკრებულო და მისი მუშაობის ორგანიზაცია | დამატებითი | | ტრენინგი | 15 | III რანგის II კატეგოტიის კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | II-IV |
| | | | | | | | |